ოსტფორდის საუნივერსიტეტო კოლეჯის (ნორვეგია) სამაგისტრო სტიპენდია 2013/2014 აკადემიური წლისთვის

საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი ოსტფორდის საუნივერსიტეტო კოლეჯთან თანამშრომლობის ფარგლებში აცხადებს კონკურსს თსუ კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულების ბაკალავრიატის მეოთხე კურსის და ამავე მიმართულების მაგისტრატურის პირველი სემესრის სტუდენტებისათვის ოსტფორდის საუნივერსიტეტო კოლეჯში ორწლიანი სამაგისტრო სტიპენდიის მოსაპოვებლად. მიმღები უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულია სამაგისტრო პროგრამა: **კომპიუტერული მეცნიერებები.**

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა სააპლიკაციო პაკეტი უნდა გადააგზავნონ მიმღებ უნივერსიტეტში მისამართზე:

Ms.Ellen Hoy-Petersen
International Office
Ostford University College
Os Allé 9, N-1757 Halden, Norway
Tel: +47 6921 5000

- ელექტრონულად შევსებული სააპლიკაციო ფორმები (ფორმა 1, ფორმა 2)
- CV (ინგლისურ ენაზე)
- მოტივაციის წერილი (ინგლისურ ენაზე)
- რეკომენდაცია (ინგლისურ ენაზე, ფაკულტეტის ბეჭდით დამოწმებული)
- აკადემიური მოსწრების ფურცელი ფაკულტეტის დეკანატიდან (ინგლისურ ენაზე, ნოტარიალურად დამოწმებული (მხოლოდ ბაკალავრიატის მეოთხე კურსის სტუდენტებისთვის)
- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (ინგლისურ ენაზე, ნოტარიალურად დამოწმებული)
- დიპლომისა და დიპლომის დანართის ნოტარიალურად დამოწმებული ასლი (ეხებათ თსუ მაგისტრატურის სტუდენტებს)
- სასურველია ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მინიმალური ზღვარი: TOEFL 525; IELTS 6.0)
- პასპორტის ასლი
- 2 ფოტო (3/4)

ოსტფორდის საუნივერსიტეტო კოლეჯი შესარჩევ კონკურსში გამარჯვებულ სტუდენტებს უზრუნველყოფს ყოველთვიური სტიპენდიით დაბინავებისა და საცხოვრებელი ხარჯების დასაფარად. (იხილეთ: http://www.hiof.no/eng/english/before-arrival/accommodation?lang=eng)

სააპლიკაციო დოკუმენტაცია მიმღებ უნივერსიტეტში უნდა გაიგზავნოს არაუგვიანეს 2013 წლის 25 იანვრისა.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ–გვერდი: www.hiof.no/index.php?ID=9119&lang=eng;
http://www.hiof.no/eng/english/home?lang=eng
http://www.hiof.no/eng/english/faculties/computer-sciences/master_s-degree-programme-in-computer-science?lang=eng

ან/და მიმართეთ ლელა კაცაძეს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში (თსუ მეორე კორპუსი, მეორე სართული, ოთახი 204).

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი; ტელ/ფაქსი: +99532.2250212
TSU Department of Foreign Relations; Tel/Fax: +99532.2250212

შენიშვნა: დაგვიანებული ან/და არასრული განაცხადები არ განიხილება! კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა აუცილებელია მიმღებ უნივერსიტეტში საბუთების გაგზავნამდე რეგისტრაცია გაიარონ თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში! სააპლიკაციო დოკუმენტაციის მიმღებ უნივერსიტეტში გაგზავნის მსურველებმა გაითვალისწინეთ საფოსტო მომსახურების ვადები.